შეხვედრის ოქმი
15 მარტი, სოფ. შაშიანი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას საკრებულოს, საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების წარმომადგენლები და რამდენიმე სტუდენტი დაესწრო.

შეხვედრის ფარგლებში საჯარო სამსახურის ბიუროს რეფორმისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა თამთა ცოცხალაშვილმა და „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენელმა ვაკო ნაცვლიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- ვინაიდან შეხვედრა საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა, რომლის განვითარების გეგმა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილია, დისკუსია სწორედ ცენტრების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლით დაიწყო. დამსწრეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ცენტრების მომსახურებით კმაყოფილია და სურს სხვა სოფლის მცხოვრებლებსაც ჰქონდეთ ცენტრებით სარგებლობის შესაძლებლობა. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რომლებსაც აწყდებიან სოფელში ნოტარიუსის არყოფნის გამო და სურვილი გამოთქვეს საზოგადოებრივ ცენტრებში კვირაში ერთხელ მაინც იყოს შესაძლებელი ნოტარიუსის მომსახურების მიღება.

- დამსწრეთა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა შემოსავლების სამსახურის რეგიონული ფილიალების სიმცირის გამო. მათი ინფორმაციით, კახეთის რეგიონში შემოსავლების სამსახურის მხოლოდ თელავის ოფისი მუშაობს. შესაბამისად, მოსახლეობას ექმნება პრობლემები სხვადასხვა სერვისის მიღებასთან დაკავშირებით.

- შეხვედრის გარკვეული ნაწილი დაეთმო მოქალაქეთა ჩართულობის თემას. გამგეობის ადმინისტრაციის უფროსის განცხადებით, საზოგადოება არ იჩენს ინტერესს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროცესში, თავის მხრივ გამგეობა ცდილობს მაქსიმალურად მიიტანოს საზოგადოებამდე ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ. ამ მიზნით ტარდება სოფლის კრებები, რომელსაც საშუალოდ 20-30 ადამიანი ესწრება. გამგეობის ადმინისტრაციის უფროსის თქმით, კრებებს ძირითადად პედაგოგები და საბავშვო ბაღების აღმზრდელები ესწრებიან. სწორედ საბავშვო

ბაღების წარმომადგენლების ჩართულობით გადაწყდა ბაღების რეაბილიტაციის საკითხი. შეხვედრის მონაწილეები გამოეხმაურნენ გამგეობის წარმომადგენლის კომენტარს და აღნიშნეს, რომ მათი მოსაზრებები მართლაც იქნა მხედველობაში მიღებული. გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა დააზუსტა, რომ სოფლის კრების ერთ-ერთი კომპონენტია პრიორიტეტების განსაზღვრა უმრავლესობის პოზიციის გათვალისწინებით. საუბრისას გაჩნდა იდეა, მოქალაქეთა მონაწილეობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები გასაჯაროვდეს, რათა საზოგადოების პასიურ ნაწილს გაუჩნდეს მოტივაცია თავადაც ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში.

- შეკრებილმა საზოგადოებამ ისაუბრა ელექტრონული მმართველობის დადებით მხარეებზე, თუმცა შეხვედრის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ სიკეთის სრულად მისაღებად, საჭიროა საქართველოს ყველა რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტ მომსახურება.

- შეხვედრაზე ისაუბრეს ასევე ინფორმაციის თავისუფლების სფეროს მიმდინარე რეფორმისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ. დამსწრე საზოგადოება მიესალმება უწყებათა მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, თუმცა ფიქრობენ, რომ აქ ისევ ინტერნეტის მიწოდების დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა გახდეს ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება.

- შეხვედრაზე განიხილეს საკანონმდებლო მაცნეზე არსებული კომენტარების მოდული. შეხვედრის მონაწილეთა თქმით, კომენტარების განთავსების იდეა მისაღებია, თუმცა ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მიიღოს უკუკავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიქრობს, რომ მას და სხვებსაც არ ექნებათ მოტივაცია დაწერონ კომენტარები სხვადასხვა ნორმის შესახებ.